შპს „პისიშოპ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა....3

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება....6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება....7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება....8

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება....9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია....10
2. მომზადების საფუძვლები....10
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები....11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა....11
5. წინა პერიოდის ცვლილება....17
6. ამონაგები....17
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება....18
8. მარკეტინგის და გაყიდვის ხარჯები....18
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები....18
10. მარაგები....18
11. ფული და ფულის ეკვივალენტები....19
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები....19
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან....19
14. პირობითი ვალდებულებები....20
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები....20

მმართველობის ანგარიშგება....21

ტელ: +995 32 2545 845
ტელ: +995 32 2188 188
www.bdo.ge

თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „პისიშოპ.ჯის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „პისიშოპ.ჯის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე “- ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა. ჩვენ არ დავუნიშნივართ კომპანიას 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – "ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის" წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს

არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-720718**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

1 ოქტომბერი, 2025 წელი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	23,678,861	20,847,736
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(20,045,900)	(17,936,836)
საერთო მოგება		**3,632,961**	**2,910,900**
მარკეტინგის და გაყიდვის ხარჯები	8	(1,308,436)	(1,010,079)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,973,276)	(1,366,123)
სხვა ხარჯები		(91,538)	(150,315)
საოპერაციო მოგება		**259,711**	**384,383**
წმინდა ფინანსური შემოსავალი		16,717	173,100
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა ზარალი		(40,841)	(73,305)
მთლიანი სრული შემოსავალი		**235,587**	**484,178**

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი _____ ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი _____ ადამ გამყრელიძე

10-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პისიშოპ.ჯი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023*
ამონაგები	6	23,678,861	20,847,736
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(20,045,900)	(17,936,836)
საერთო მოგება		**3,632,961**	**2,910,900**
მარკეტინგის და გაყიდვის ხარჯები	8	(1,308,436)	(1,010,079)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,973,276)	(1,366,123)
სხვა ხარჯები		(91,538)	(150,315)
საოპერაციო მოგება		**259,711**	**384,383**
წმინდა ფინანსური შემოსავალი		16,717	173,100
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული წმინდა ზარალი		(40,841)	(73,305)
მთლიანი სრული შემოსავალი		**235,587**	**484,178**

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი ადამ გამყრელიძე

10-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		378,552	372,552
არამატერიალური აქტივები		4,304	23,693
		382,856	**396,245**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	10	7,439,869	5,550,071
გაცემული სესხები		-	1,122
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		453,055	507,025
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		37,255	337,643
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	11	507,754	1,568,579
		8,437,933	**7,964,440**
სულ აქტივები		**8,820,789**	**8,360,685**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		250,200	250,200
დაგროვილი მოგება		6,679,197	6,443,610
სულ კაპიტალი		**6,929,397**	**6,693,810**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,626,888	1,442,083
მიღებული ავანსები		111,601	113,782
საგადასახადო ვალდებულებები		152,903	111,010
		1,891,392	**1,666,875**
სულ ვალდებულებები		**1,891,392**	**1,666,875**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**8,820,789**	**8,360,685**

(*) - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

10-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „პისიშოპ.ჯი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2023	**250,200**	**5,959,432**	**6,209,632**
მთლიანი სრული მოგება	-	484,178	**484,178**
31.12.2023*	**250,200**	**6,443,610**	**6,693,810**
მთლიანი სრული მოგება	**-**	235,587	**235,587**
31.12.2024	**250,200**	**6,679,197**	**6,929,397**

(*) - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

10-20 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2024	2023*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		**235,587**	**484,178**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		176,550	87,300
საპროცენტო შემოსავალი		(39,872)	(173,100)
საპროცენტო ხარჯი		23,155	-
საკურსო სხვაობით წარმოშობილი წმინდა ზარალი		40,841	73,305
		436,261	**471,683**
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		54,215	(452,569)
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები		300,388	(337,643)
მარაგები		(1,889,798)	620,196
საგადასახადო ვალდებულებები		41,893	38,357
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		148,006	(336,604)
მიღებული ავანსები		(2,181)	113,782
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(911,216)**	**117,202**
გადახდილი პროცენტი		(23,155)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		**(934,371)**	**117,202**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(163,161)	(299,526)
გაცემული სესხების შემცირება		1,122	-
გაცემული სესხების ზრდა		-	(1,122)
მიღებული პროცენტი		39,872	173,100
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		**(122,167)**	**(127,548)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის მიღება		575,000	-
სესხის დაფარვა		(575,000)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		**-**	**-**
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება		**(1,056,538)**	**(10,346)**
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	11	**1,568,579**	**1,594,894**
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში		(4,287)	(15,969)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	11	**507,754**	**1,568,579**

(*) - 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

შპს „პისიშოპ.ჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს პისიშოპ.ჯი (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 205198481) დაფუძნდა 2007 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი N16ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების რეალიზაცია. კომპანიას საქართველოში აქვს 3 მაღაზია.

კომპანიის დირექტორები არიან: ზურაბ ხორგუაშვილი, გურამ ხოჯანაშვილი და ერმილე სულაძე. კომპანიის მმართველი ორგანოა საერთო კრება. კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა - გრიგოლ ჭირაქაძე.

კომპანიის დამფუძნებლები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2024	31.12.2023
შპს იუ ჯი თი ჯგუფი (404891541)	85%	85%
გურამ ხოჯანაშვილი	10%	10%
ზურაბ ხორგუაშვილი	5%	5%

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვენლოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნორიზებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები – კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	31.12.2024	31.12.2023
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
ლარი/1 ევრო	2.9306	2.9753

ფინანსური ინსტრუმენტები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, კომპანიამ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორიცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ასეთი ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებადი ღირებულებით.

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც არ არის ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი და წარმოადგენს მიმდინარეს საწყისად აღიარდება დაუდისკონტირებელი თანხის მოცულობით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას: (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას; (ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები; (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშებზე).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი

თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდგება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეტებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი

აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	7
იჯარით აღებული ოფისის კეთილმოწყობა	3-5
სხვა	3-7

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

დაბეგვრა

გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მიღებული ფასდაკლებები

მომწოდებლებისგან მიღებული სავაჭრო ფასდაკლებები, რომლებიც დამოკიდებულია შეძენის ან გაყიდვის სხვადასხვა პირობაზე, ამცირებს მარაგების თვითღირებულებას ან პირდაპირ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ფასდაკლებები, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პირობებზე, აღიარდება სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ

ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც

წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ

ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. წინა პერიოდის ცვლილება

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს.

წინა პერიოდის ცვლილების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	წინა პერიოდის ცვლილება	გადაანგარიშებული
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(17,982,401)	45,565	(17,936,836)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,047,409)	681,286	(1,366,123)
მარკეტინგის და გაყიდვის ხარჯები	(241,679)	(768,400)	(1,010,079)

წინა პერიოდის ცვლილების ეფექტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	წინა პერიოდის ცვლილება	გადაანგარიშებული
ძირითადი საშუალებები	361,206	11,346	372,552
არამატერიალური აქტივები	-	23,693	23,693
მარაგები	5,585,108	(35,037)	5,550,071
გაცემული სესხები	-	1,122	1,122
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	369,679	137,346	507,025
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები	70,307	267,336	337,643
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	1,568,715	(136)	1,568,579
დაგროვილი მოგება	6,676,055	(232,445)	6,443,610
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	990,075	452,008	1,442,083
მიღებული ავანსები	38,685	75,097	113,782
საგადასახადო ვალდებულებები	-	111,010	111,010

6. ამონაგები

	2024	2023
კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების რეალიზაცია	23,510,356	20,702,874
მომსახურების გაწევა	168,505	144,862
	23,678,861	**20,847,736**

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2024	2023
ჩამოწერილი მარაგების თვითღირებულება	(19,903,237)	(17,832,551)
ხელფასები	(135,093)	(95,673)
სხვა	(7,570)	(8,612)
	(20,045,900)	**(17,936,836)**

8. მარკეტინგის და გაყიდვის ხარჯები

	2024	2023
ხელფასები	(849,808)	(774,914)
მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	(289,455)	(117,711)
ბანკის საკომისიო	(101,767)	(76,076)
ტრენინგები	(13,098)	-
სხვა	(54,308)	(41,378)
	(1,308,436)	**(1,010,079)**

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ხელფასები	(950,626)	(700,021)
საიჯარო ქირის ხარჯი	(435,852)	(277,437)
ცვეთა და ამორტიზაცია	(176,550)	(87,300)
პროფესიული მომსახურება	(134,774)	(110,940)
საწვავი და სხვა სატრანსპორტო ხარჯები	(85,865)	(40,991)
კომუნალურები	(74,820)	(63,599)
კომუნიკაციის ხარჯები	(20,724)	(12,578)
სხვა	(94,065)	(73,257)
	(1,973,276)	**(1,366,123)**

წლის ბოლოს, საწარმოს შეუქცევადი საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარით აქვს დაუფარავი ვალდებულება, შემდეგი სახით:

	2024	2023
1 წლის განმავლობაში	485,056	429,199
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	1,431,937	1,643,174
	1,916,993	**2,072,373**

პირობითი საიჯარო ქირა არ არსებობს.

10. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
კომპიუტერული ტექნიკა	5,440,353	3,947,631
ქსელური მოწყობილობები	1,001,675	798,384
პრინტერები/კარტრიჯები	321,059	233,498
სხვა	676,782	570,558
	7,439,869	**5,550,071**

11. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე	498,585	1,563,237
ფული სალაროში	9,169	5,342
	507,754	**1,568,579**

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	456,934	427,119
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	1,109,010	913,510
სახელფასო ვალდებულებები	60,944	101,454
	1,626,888	**1,442,083**

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	-	242,787	-
საპროცენტო ხარჯი	(23,155)	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(247,780)	
მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო	-	-	(147,000)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო მოთხოვნები	-	17,236	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	456,934	-

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	დამფუძნებელი	საერთო კონტროლის ქვეშ	უმაღლესი ხელმძღვანელობა
სრული შემოსავლის ანგარიშგება			
ამონაგები	-	564,937	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-	(240,121)	
მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელო	-	-	(147,000)
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
სავაჭრო მოთხოვნები	-	92,352	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	427,029	-

14. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას, როგორც მოპასუხეს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 150,282 ლარი.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არ ყოფილა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს გაშიფვრას ფინანსურ ანგარიშგებაში.

პისიშოპ.ჯი

2024 წლის მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

თბილისი, 2025

სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია 23
ორგანიზაციული სტრუქტურა 23
კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები 23
ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ 24
კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა 24
მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა 24
საბალანსო სტრუქტურის მიმოხილვა 25
არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა 25
სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლები 25
სამუშაო გარემოს უსაფრთხოება 26
გარემოს დაცვა 26
კომპანიის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა 26
დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ 29

ზოგადი ინფორმაცია

შპს პისიშოპ.ჯი (PCSHOP.GE LLC.) არის იუ-ჯი-თი ჯგუფის შვილობილი კომპანია. იუ-ჯი-თის კაპიტალში წილის 85%-ს იუ-ჯი-თი ჯგუფი ფლობს. შპს პისიშოპ.ჯი დაფუძნდა 2007 წელს და თითქმის 20 წელია რეგიონის ერთ-ერთი მსხვილი მაღაზიათა ქსეილია კომპიუტერული მოწყობილობების სფეროში. კომპანია ცნობილია როგორც ერთ-ერთი მთავარი კომპიუტერული მაღაზია საქართველოში და ბაზარზე აქსესუარების,ნაწილების და სრული კომპიუტერული ტექნიკის ფართო არჩევანით.

კომპანია კონცენტრირებულია როგორც რითეილზე (3 მაღაზია თბილისში, ფიზიკური გაყიდვები), ასევე ონლაინ შეკვეთებზე.

ასევე კომპანიის საქმიანობაში ინტეგრირებულია ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი, აქვს სერვის ცენტრის სადაც ახორციელებს გაუმართავი ტექნკის დიაგნოსტირებას და შეკეთებას.

ორგანიზაციული სტრუქტურა



კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა ეფექტურია კომპანიის მართვისა და მიზნების განსახორციელებლად.

კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანიის განვითარების საშუალოვადიან და გრძელვადიან გეგმებში გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინიციატივა, რომლებიც მიზნად ისახავს როგორც ბაზრის გაფართოებას, ისე ოპერაციული ეფექტიანობის ამაღლებას. კონკრეტულად, დაგეგმილია შემდეგი მიმართულებების განვითარება:

1. **რეგიონული გაფართოება** – დაგეგმილია ახალი ფილიალის გახსნა ბათუმში, რაც ხელს შეუწყობს კომპანიის ფიზიკური წარმომადგენლობის გაძლიერებას დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და მომხმარებელთან უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებას.

2. **დისტრიბუციის ქსელის გაფართოება** – კომპანიის სტრატეგია მოიცავს დისტრიბუციის არხების განვითარებასა და ოპტიმიზაციას, რაც უზრუნველყოფს პროდუქციის უფრო ეფექტიან და სწრაფ მიწოდებას ქვეყნის მასშტაბით.

3. **ციფრული პლატფორმის განახლება** – გათვალისწინებულია კომპანიის ვებ-გვერდის სრული მოდერნიზაცია მომხმარებელზე მორგებული დიზაინისა და ფუნქციური შესაძლებლობების

გაუმჯობესების გზით, რაც ხელს შეუწყობს მომხმარებლის გამოცდილების გაუმჯობესებას და ბრენდის აღქმას.

4. **ონლაინ ვაჭრობის წილის გაზრდა საერთო გაყიდვებში** – კომპანიის მიზანია ელექტრონული კომერციის წილის ზრდა, რაც მიღწევადი იქნება ლოგისტიკური პროცესების ოპტიმიზაციისა და შეკვეთების შესრულების სისწრაფის ზრდის მეშვეობით.

5. **ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაციის გაღრმავება** – მიმდინარეობს ოპერაციული პროცესების შემდგომი ავტომატიზაცია, რაც მიზნად ისახავს შიდა რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას და ოპერაციული ხარჯების შემცირებას.

6. **ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაცია საბაზო ოპერაციებსა და ანალიტიკაში** – დაგეგმილია თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის დანერგვა ბიზნეს ანალიტიკაში და სტანდარტულ საოპერაციო პროცესებში, რაც შესაძლებელს გახდის მონაცემებზე დაფუძნებული სწრაფი და საფუძვლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიაში ადგილი არ ჰქონია საკუთარი აქციების შეძენას

კომპანიის სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოს მიმოხილვა

2024 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოები.

მნიშვნელოვანი ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

კომპანიის რეალიზაციის მოცულობამ 2023 წელს შეადგინა 20.85 მილიონი ლარი, 2024 წელს შეადგინა 23.67 მილიონი ლარი. 2024 წელს რეალიზაციების ზრდის მიზეზებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტორი: არსებულ მიმართულებებში ბაზარზე მოთხოვნების ზრდა და არსებული მიმართულებების მიერ ბაზრის წილის ზრდა. 2024 წლის რეალიზაციის მოცულობა 2023 წლის მონაცემთან შედარებით გაიზარდა 13.58% ით.

საერთაშორისო ტექნიკის მწარმოებელ ფირმებთან აქტიური თანამშრომლობის შედეგად ბაზრის სხვა მოთამაშეებთან შედარებით მივაღწიეთ რომ მიგვეღო ხარისხიან პროდუქციაზე საუკეთესო ფასები რამაც საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა ან შეგვენარჩუნებინა ბაზარზე ჩვენი კომპანიის წილობრივი მდგომარეობა.

კომპანიის მოგებამ გადასახადებამდე და ფინანსურ ხარჯამდე [EBIT] 2024 წელს შეადგინა 218.87 ათასი ლარი, 2023 წელს 311.01 ათასი ლარი. მოგებამ გადასახადებამდე და ფინანსური ხარჯის ჩათვლით [[EBT] 2024 წელს შეადგინა 235.58 ათასი ლარი, 2023 წელს 484.18 ათასი ლარი. კომპანიის წმინდა ფინანსური შემოსავალი 2024 წელს იყო -16.72 ათასი ლარი, 2023 წელს 173.10 ათასი ლარი.

თანამშომლებზე გაწეული ხარჯები შედეგებმა ფიქსირებული შრომის ანაზღაურებისაგან,პრემიებისგან, თანამშრომელთა დაზღვევაზე გაწეული ხარჯისგან და კვალიფიკაციის ამაღლებაზე გაწეული დანახარჯებისაგან. სახელფასო ხარჯი გაიზარდა 23%-ით. ზრდა ორი მიზეზით აირს მიზეზი ნაწილობრივ არის ხელფასების მომატება და ნაწილობრივ ახალი თანამშრომლების აყვანა. იუჯითი დიდი მნიშვნელობას

ანიჭებს სწორ საკადრო პოლიტიკას, მათ შორის ანაზღაურების ნაწილში. კომპეტენტური და კვალიფიციური კადრები არის ერთ ერთი გადამწყვეტი მიზეზი კომპანიის წარმატებისა.

2023-2024 წლებში სახელფასო ხარჯი მუხლობრივად ასე გამოიყურება :

შინაარსი	2023 წელი	2024 წელი
ხელფასები	1,169,842	1,516,555
პრემიები	305,120	299,889
დაზღვევა	49,716	63,812
თანამშრომელთა რაოდენობა პერიოდის დასაწყისში	50	67
თანამშრომელთა რაოდენობა პერიოდის ბოლო	61	71
საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა	55	69
წლიურმა საშუალო ხელფასი	21,269	21,979
საშუალო თვიური ხელფასი	1,772	1,831

საბალანსო სტრუქტურის მიმოხილვა

ლიკვიდობის კოეფიციენტები:

კოეფიციენტი	2023 წელი	2024 წელი
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	4.77	4.46
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.45	0.53
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.14	0.29

რენტაბელობის მაჩვენებლები

კოეფიციენტი	2023 წელი	2024 წელი
გაყიდვების რენტაბელობა	13.96%	15.34%
ROE საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა	0.07	0.03
ROA აქტივების რენტაბელობა	0.06	0.02

არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

სოციალური პასუხისმგებლობა და თანამშრომლები

იუ-ჯი-თი ყოველდღიური საქმიანობისას მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ითვალისწინებს სოციალური პასუხისმგებლობის და გარემოზე ზემოქმედების საკითხებს. საკადრო პოლიტიკა კომპანიის საქმიანობის და სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია. პოლიტიკა მიზნად ისახავს ძირითადი მიზნების მიღწევას და

საზოგადოების წინაშე დასმული ამოცანების მაქსიმალურ გათვალისწინებას. კომპანია ზრუნავს თავის თანამშრომლებზე და მათ მოტივაციაზე. ამისთვის, კომპანია: 1. პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს თანამშრომლებისთვის; 2. ახალისებს გრძელვადიან თანამშრომლობას მატერიალური და სხვა ფორმით; 3. მუდმივად ახორციელებს წარმატებული თანამშრომლების შეფასებას დაწინაურების და განვითარების მიზნით; 4. იყენებს მატერიალური წახალისების სქემებს დაოჯახების და შვილის შეძენის შემთხვევებში; 5. ანაზღაურებს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯებს; 6. იყენებს წარმატებული თანამშრომლების სწავლის და ტრენინგების დაფინანსების სისტემებს.

კომპანიაში დანერგილია თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის და შეთავაზებების შეფასების სისტემა. ხორციელდება შედეგებისა და შეთავაზებების პერიოდული განხილვები, რომელთა საფუძველზეც ცვლილებები შედის ოპერაციებში, შინაგანაწესებსა და პროცედურებში.

დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 69 ადამიანს, 2023 წელს 51 ადამიანს.

კომპანიაში 2023-2024 წლებში დასაქმებულთაგან 35% ქალია, ხოლო 65% - მამაკაცი.

სამუშაო გარემოს უსაფრთხოება

კომპანიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოებას. 2024 წელსაც, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. გადამოწმდა და შესაბამისობაში იქნა მოყვანილი შენობების ინფრასტრუქტურა შრომის უსაფრთხოების ნორმებთან. განახლდა შრომის უსაფრთხოების შიდა ინსტრუქციები (შრომის უსაფრთხოების საერთო წესები, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია, სიმაღლეზე მუშაობის ინსტრუქცია, სხვადასხვა მოწყობილობების და დანადგარების უსაფრთხო ექსპლუატაციის ინსტრუქციები). პერიოდულად ხორციელდება თანამშრომლებისთვის შრომის უსაფრთხოების მხრივ ტრენინგების ჩატარება.

გარემოს დაცვა

შპს პისიშოპ.ჯი, თანახმად საქართველოს კანონისა „გარემოს დაცვის შესახებ“, არ წარმოადგენს იმ საწარმოთა რიცხვს, რომელთა საქმიანობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს. შესაბამისად, ორგანიზაცია არ საჭიროებს სპეციალური გარემოს დაცვითი ღონისძიებების განხორციელებას. მიუხედავად ამისა, კომპანია მუდმივად ახორციელებს მისი ვალდებულებების გადაფასებას გარემოს დაცვის მიმართულებით.

კომპანიის ძირითადი რისკების და რისკების მართვის პოლიტიკის მიმოხილვა

კომპანია, ყოველდღიური აქტივობის ფარგლებში, განიცდის სხვადასხვა ტიპის რისკის ზემოქმედებას. რისკების მართვა არის ბიზნესის მართვის მნიშვნელოვანი და განუყოფელი ნაწილი რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კომპანიის მომგებიანობა. კომპანია განსაზღვრავს რისკს როგორც პოტენციურ უარყოფით დევიაციას მოსალოდნელი ფინანსური შედეგისაგან. მენეჯმენტი პასუხისმგებელია კომპანიის რისკების შეფასების და მართვის პოლიტიკის განსაზღვრაზე. რისკების მენეჯმენტის პოლიტიკის

დანერგვის მიზანია იმ რისკების დროული იდენტიფიცირება და ანალიზი რომლის წინაშეც დგას კომპანია, რათა დროულად მოხდეს რისკების ლიმიტების განსაზღვრა და კონტროლის სისტემების შემუშავება. ბაზარზე და კომპანიის საქმიანობაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინების მიზნით პერიოდულად ხორციელდება რისკების მართვის პოლიტიკის და სისტემების გადახედვა მათში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის დადგენის მხრივ. კომპანიას ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ძირითადად აქვს საკრედიტო, საბაზრო და ლიკვიდობის რისკები.

ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშებზე განთავსებით წარმოშობილი საკრედიტო რისკი :

კომპანიას ფულადი სახსრები განთავსებისას ითვალისწინებს საკრედიტო დაწესებულების საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებულ რეიტინგებს და არჩევანს აკეთებს მაღალი რეიტინგის ბანკებზე. კომპანიის მომსახურე ბანკებს რომლებშიც განთავსებული აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის ფულადი სახსრები მინიჭებული აქვთ შემდეგი რეიტინგები: Fitch Ratings: ‘BB-’; Moody’s: ‘B1/Ba3’; S&P Global Rating: B.

დებიტორებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკის ზემოქმედება ძირითადად დამოკიდებულია ცალკეული დებიტორის/კლიენტის ინდივიდუალურ მახასიათებლებზე. მიუხედავად ინდივიდუალური რისკებისა კომპანია ასევე ითვალისწინებს იმ ინდუსტრიის და ქვეყნის რისკებსაც რომელსაც მიეკუთვნება კონკრეტული დებიტორი/კლიენტი. რისკების მართვის პოლიტიკის შესაბამისად კრედიტუნარიანობის დადგენის მიზნით ახალი ხელშეკრულების/შეკვეთის გაფორმებამდე ხორციელდება კომპანიის ყველა კლიენტის ინდივიდუალური ანალიზი. კლიენტი რომელიც ვერ აკმაყოფილებს კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის სტანდარტებს კომპანიასთან ურთიერთობს მხოლოდ სრული საავანსო გადახდების მეშვეობით.

საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის შედეგად კომპანიას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების არ დაფარვით გამოწვეული არსებითი ზარალი.

2024 წლის ფინანსური ინსტრუმენტების კოლექტიური ანალიზის საფუძველზე საკრედიტო რისკთან დაკავშირებული გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არ გამოვლენილა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა რომ კომპანია ვერ შეძლებს ვალდებულების დაფარვას გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანია ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით მუდმივად ახორციელებს მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დაგეგმვასა და შესაბამის ანალიზს. იმისათვის რომ თავიდან იქნეს აცილებული ლიკვიდურობის რისკი კომპანია მუდმივად ახორციელებს ფულადი ნაკადების როგორც შემოსავლების ასევე გასავლების დეტალურ დაგემგვასა და კონტროლს კვირის, თვის და კვარტლის ჭრილში. ფულადი სახსრების დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებამდე ხორციელდება ანალიზი თუ რა ზეგავლენა ექნება თარიღების ჭრილში ახალ ვალდებულებებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ასევე კომპანია ლიკვიდურობის რისკის სამართავად იყენებს საბანკო სესხს, გადახდის გარანტიებს და სხვა საბანკო პროდუქტებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა რომ საბაზრო ფასების ცვლილების შედეგად შემცირდება ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი,

რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

სავალუტო რისკი

კომპანიას სავალუტო რისკი წარმოეშვება იმ გაყიდვებიდან, შესყიდვებიდან და სესხებიდან რომლებიც გამოხატულია უცხოურ ვალუტაში, კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების უმეტესობა გამოხატულია აშშ დოლარში. კომპანია ერთიანი მიდგომით აანალიზებს და მართავს საკუთარი და შვილობილი კომპანიების სავალუტო რისკებს და ღია სავალუტო პოზიციებს, კომპანია საჭიროების შემთხვევაში იყენებს წარმოებულ და სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტებში ცვლილებებით განპირობებული რისკის სამართავად.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ზემოქმედებით. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებიდან (როგორიცაა, მაგალითად სესხები და მოთხოვნები და გამოშვებული სავალო ინსტრუმენტები) და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტიდან, რომელიც აღიარებული არ არის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მაგალითად, ახალი სესხების მოზიდვის ზოგიერთი ვალდებულება). კომპანიას არ აქვს გაცემული და მიღებული სესხები ცვალებად საპროცენტო განაკვეთში, შესაბამისად არ დგას საპროცენტო რისკის წინაშე.

ფასების რისკი

ფასების რისკი არის რისკი იმისა, რომ გასაყიდად გამიზნული შეძენილი საქონლის მომსახურების ფასები დაეცემა რის შედეგადაც კომპანია ვერ შეძლებს ისეთ ფასად გაყიდოს შეძენილი აქტივი , რომ უზრუნველყოს მოგების მიღება. გამომდინარე იქიდან, რომ ფასების რისკის სრულად ელიმინირება შეუძლებელია, კომპანია ცდილობს სხვადასხვა მეთოდებით მინიმუმზე დაიყვანოს ფასების რისკის შესაძლო ნეგატიური შედეგი. გასაყიდად გამიზნული აქტივების შეძენა უმეტესწილად ხდება კლიენტთან ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ და იმ ვალუტაში რომელშიც ხდება შესაბამისი აქტივის შეძენა რათა ფასების რისკის ეფექტი მინიმუმზე იქნას დაყვანილი. იმ იშვიათ შემთხვევებში სადაც აუცილებელია სამარაგე საქონლის შეძენა, საქონელის შეძენამდე ხდება ბაზრის მოკვლევა და სხვა კონტროლის პროცედურები რათა შეირჩეს ის საქონელი რომელიც ადეკვატურად ლიკვიდურია და ატარებს მინიმალურ ფასების რისკს საბაზრო მოგების მარჟის გათვალისწინებით.

საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილი რისკები

კომპანიაში საოპერაციო რისკების მართვა ერთ-ერთი პრიორიტეტული და სენსიტიური საკითხია. საოპერაციო რისკების მართვა უზრუნველყოფს კომპანიაზე შესაძლო მატერიალურ, არამატერიალურ და სასიცოცხლო მნიშვნელობის ზიანის თავიდან აცილებას. ამგვარ კრიტიკულ საკითხებზე დროული და სწორი რეაგირებისთვის ხორციელდება ორგანიზაციის შიდა სისუსტეებზე და გარე საფრთხეებზე მონაცემების შეგროვება. დანერგილია მონიტორინგის, შეფასებისა და ანალიზის ავტომატური და ნახევრად ავტომატური პროცედურები.

ქვემოთ მოცემულია ის საოპერაციო რისკები რომელთა ხდომილებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე :

- კონტროლის შიდა პროცესების რისკი
- თაღლითობის და გაფლანგვის რისკი
- ინფორმაციული სისტემების დაზიანება, დაკარგვა და სხვა რისკები
- ქვეყნის რისკი
- საკანონმდებლო გარემოს რისკი
- რეპუტაციული რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვის და პოტენციური ზარალის თავიდან აცილებისთვის კომპანიაში დანერგილია შესაბამისი პროცესები რომელთა გადახედვა ხორციელდება რეგულარულად წლის განმავლობაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია მიზნად ისახავს კაპიტალის ისეთი მართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ფუნქციონირება და ამავ დროულად უზრუნველყოფილი იყოს დამფუძნებლებისათვის ადექვატური უკუგება. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს იმის შეფასებას თუ რამდენია კომპანიის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის საჭიროება რათა შენარჩუნებულ იქნას დაფინანსების ეფექტური სტრუქტურა და არ გაჩნდეს ნასესხებ სახსრებზე გრძელვადიანი დამოკიდებულება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია მუდმივად ახდენს პოტენციური პროექტების ფულადი ნაკადების და მომგებიანობის ანალიზს რათა შეირჩეს კომპანიის მიერ მოთხოვნილი და პროექტის რისკიანობის შესაბამისი უკუგების განაკვეთის მქონე პროექტები. კომპანია გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობის განსაზღვრისას მუდმივად ითვალისწინებს დივიდენდის ეფექტს კაპიტალის სტრუქტურაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს დივიდენდის მოცულობის კორექტირებას რათა შენარჩუნებულ იქნას კაპიტალის ეფექტური სტრუქტურა.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი _____ ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი _____ ადამ გამყრელიძე

- კონტროლის შიდა პროცესების რისკი
- თაღლითობის და გაფლანგვის რისკი
- ინფორმაციული სისტემების დაზიანება, დაკარგვა და სხვა რისკები
- ქვეყნის რისკი
- საკანონმდებლო გარემოს რისკი
- რეპუტაციული რისკი

ზემოთ ჩამოთვლილი რისკების მართვის და პოტენციური ზარალის თავიდან აცილებისთვის კომპანიაში დანერგილია შესაბამისი პროცესები რომელთა გადახედვა ხორციელდება რეგულარულად წლის განმავლობაში.

კაპიტალის მართვა

კომპანია მიზნად ისახავს კაპიტალის ისეთი მართვას, რომ უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ფუნქციონირება და ამავ დროულად უზრუნველყოფილი იყოს დამფუძნებლებისათვის ადექვატური უკუგება. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად ახდენს იმის შეფასებას თუ რამდენია კომპანიის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის აუცილებელი კაპიტალის საჭიროება რათა შენარჩუნებულ იქნას დაფინანსების ეფექტური სტრუქტურა და არ გაჩნდეს ნასესხებ სახსრებზე გრძელვადიანი დამოკიდებულება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კომპანია მუდმივად ახდენს პოტენციური პროექტების ფულადი ნაკადების და მომგებიანობის ანალიზს რათა შეირჩეს კომპანიის მიერ მოთხოვნილი და პროექტის რისკიანობის შესაბამისი უკუგების განაკვეთის მქონე პროექტები. კომპანია გასანაწილებელი დივიდენდის მოცულობის განსაზღვრისას მუდმივად ითვალისწინებს დივიდენდის ეფექტს კაპიტალის სტრუქტურაზე და საჭიროების შემთხვევაში ახდენს დივიდენდის მოცულობის კორექტირებას რათა შენარჩუნებულ იქნას კაპიტალის ეფექტური სტრუქტურა.

დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

კომპანიის მენეჯმენტის შეფასებით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები არ საჭიროებს დამატებით განმარტებებს. აღნიშნული ინფორმაცია განმარტებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 ოქტომბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი ერმილე სულაძე

ფინანსური დირექტორი ადამ გამყრელიძე